აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდ-გენთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ანგარიშს.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატს, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, წარედგინა 8 განცხადება.

2. ინფორმაციის გაცემაზე უარი, უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებით, არცერთ შემთხვევაში არ მიუღია.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის 7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია სრულად, 1 მოთხოვნა დატოვებული იქნა განუხილველი, რადგან წარმოდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის N54-IIს დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი“-ს (დანართი N2) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად: დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილი განცხადება, ფიზიკური პირის შემთხვევაში, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: განმცხადებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს და ელექტრონული ფოსტის მისამართს. გადაწყვეტილება თითოეულ შემთხვევაში მიღებულია უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მიერ. უმაღლესი საბჭოს სხდომის დახურვის პირობებში გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს), რომლის მეშვეობითაც აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში. უმაღლესი საბჭოს აპარატი პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემისას ხელმძღვანელობს, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონით დადგენილი წესით. პერსონალური მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში მუშავდება, დაცულია და ინახება. მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული მონაცემები, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, საქართველოს კანონების შესაბამისად, დადგენილ ფარგლებში გაიცემა.

5. უმაღლესი საბჭოს მოსამსახურეთა მიერ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირებზე, დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

6. უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.